საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

# მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის სერვისის მიწოდების ბაზრის მონიტორინგის ანგარიში

## (კონკურენტული გარემოს შეფასება)

თბილისი

2025 წელი

## სარჩევი

შესავალი ..... 2
1. ბაზრის ანალიზი..... 2
1.1. პროდუქციული საზღვრები..... 2
1.2. გეოგრაფიული საზღვრები..... 5
1.3. დროითი ჩარჩო..... 6
2. შესაბამის ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასება..... 6
2.1. შესაბამის ბაზრებზე მოქმედი სუბიექტები ..... 8
2.2. შესაბამისი ბაზრების მოცულობა და ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილების გადანაწილება..... 8
დასკვნა..... 41

## შესავალი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - „სააგენტო“), შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის სერვისის მიწოდების ბაზრის მონიტორინგი განახორციელა. განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, შესაფასებელ პერიოდს, სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, წარმოადგენდა 2024 წლის 01 იანვრიდან 2025 წლის 31 მარტის თვის ჩათვლით დროის მონაკვეთი.

## 1. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

### 1.1. პროდუქციული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენის პროცესში, სააგენტო ეყრდნობა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ევროკომისიის პრაქტიკას.

უპირველეს ყოვლისა, მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის სერვისის მიწოდების ბაზრის თაობაზე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მსჯელობა მიმართული იყო იმ საკითხის გარკვევასთან დაკავშირებით, წარმოადგენს თუ არა მობილური აპლიკაციის მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის სერვისი, მაგალითად, Uber, უბრალოდ ციფრულ პლატფორმას, რომელიც მოთხოვნასა და მიწოდებას აკავშირებს ერთმანეთთან თუ აღნიშნული კომპანია საკუთარ სატრანსპორტო მომსახურებას წევს? ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ Uber არ წარმოადგენს ნეიტრალურ ციფრულ პლატფორმას, არამედ მომხმარებლისთვის მის მიერ შეთავაზებულ მომსახურებას შემდეგი მახასიათებლები გააჩნია: 1. კომპანია ამზადებს აპლიკაციას,

რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მგზავრობის დაჯავშნა. 2. კომპანია ადგენს ან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფასების დადგენაზე. 3. კომპანია განსაზღვრავს მძღოლებისა და მგზავრებისთვის პლატფორმაზე წვდომის პირობებს. შესაბამისად, Uber-ის მომსახურება განუყოფლად არის დაკავშირებული ფაქტობრივ სატრანსპორტო მომსახურებასთან და მის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული სერვისი მიიჩნევა მომსახურებად სატრანსპორტო სფეროში.[1] აღნიშნული გამიჯვნის შედეგად ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებამ მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგი განაპირობა - კომპანია Uber-ის საქმიანობა არ არის დაცული იმ რბილი რეგულაციებით, რომელიც მხოლოდ საინფორმაციო საშუალებებისთვისაა განკუთვნილი (Information Society Services). პირიქით, მისი საქმიანობის რეგულირების მიზნით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დააწესონ ლიცენზიები, გააკონტროლონ მომსახურების ხარისხი თუ სხვა.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, სააგენტოც მიიჩნევს, რომ კომპანია Yandex-ის მიერ მგზავრებისთვის შეთავაზებული სერვისი ერთმნიშვნელოვნად განეკუთვნება სატრანსპორტო სახის მომსახურებას, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში მგზავრობის პროცესში ციფრული პლატფორმა გამოიყენება. კერძოდ, ისეთი კომპანიები, როგორიცაა Yandex, Bolt, Uber, Maxim თუ სხვა, არ წარმოადგენენ ციფრული ბაზრის (Digital Market) ისეთ მონაწილეებს როგორიცაა Google Search, Amazon Marketplace, Facebook და ა.შ., არამედ ისინი არიან სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლები, რომლებიც ციფრულ ტექნოლოგიებს საკუთარი საოპერაციო მოდელის სახით იყენებენ.

აღსანიშნავია ევროკომისიის პრაქტიკიდან საქმე, რომლის ფარგლებშიც გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ, კონცენტრაციის საკითხის განხილვისას, ავტომობილების მწარმოებლები გამოკითხა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი სატრანსპორტო მომსახურებები მიაჩნიათ თავისუფლად მოძრავი ავტომობილების გაზიარების სერვისის (Free-floating Car Sharing) ჩამნაცვლებლად ***მოხმარების პერსპექტივიდან.*** უპირველეს ყოვლისა, ასეთ ჩამნაცვლებლად ჩაითვალა ციფრული აპლიკაციის მეშვეობით გამოძახებული ტაქსები (Ride-hailing). მომდევნო საფეხურზე ცალკე, გამოყოფილი სახით დასახელდა სადგურზე დაფუძნებული ავტომობილების გაზიარების სერვისი (Station-based Car Sharing) და ტრადიციული ტაქსები ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ავტომობილის დაქირავება.[2]

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ ხსენებული პრაქტიკა პირდაპირ არ არის დაკავშირებული მონიტორინგის ფარგლებში დასაკვირვებელ საკითხთან, თუმცა აშკარად დგინდება შემდეგი გარემოების არსებობა - ავტომობილების მწარმოებლებმა ***მომხმარებლის პერსპექტივიდან*** ცალ-ცალკე გამიჯნეს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით ტაქსის გამოძახებისა და ქუჩაში ტაქსით სარგებლობის მომსახურებები - ისინი სხვადასხვა საბაზრო სეგმენტს მიაკუთვნეს. აღნიშნული გარემოება **უფრო მეტად მიანიშნებს** მათი სხვადასხვა პროდუქციული საზღვრებისადმი კუთვნილებაზე, ვიდრე პირიქით. მიუხედავად ამისა, ხსენებულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, ერთმნიშვნელოვნად შეუძლებელია იმის თქმა, ევროკომისია განსახილველ

[1] Asociación Profesional Élite Taxi v Uber Systems Spain SL, C-434/15, (Grand Chamber, 20 December 2017), პარაგრაფები: 38-40.
[2] Commission Decision, Case M.8744, Daimler/BMW/Car-Sharing JV, 2018 O.J. (C 134) 12 (EC), პარაგრაფი 37.

მომსახურებებს ერთი საერთო ბაზრის ნაწილად განიხილავს თუ მათ სხვადასხვა ბაზრებს აკუთვნებს.

2022 წელს ევროკომისიის მიერ მიღებულ შეტყობინებაში მითითებულია შემდეგი - ტექნოლოგიური მიღწევების შედეგად, კერძოდ სმარტფონების გამოგონების წყალობით, აგრეთვე გეოლოკალიზაციის შესაძლებლობებმა და საზოგადოების მიერ ინტერნეტთან წვდომის სიმარტივემ განაპირობეს ის, რომ ტაქსების დაჯავშნა ფაქტობრივად გადაიქცა *„მომენტალურ წინასწარ დაჯავშნად“,* რაც თანდათანობით შლის ზღვარს ქუჩაში ტაქსებით სარგებლობასა და ონლაინ პლატფორმის მეშვეობით ტაქსების გამოძახებას შორის.[3] აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროკომისია მიუთითებს იმ თანამედროვე ტენდენციაზე, რომლის მიხედვით განსახილველ მომსახურებებს შორის კონკურენცია ზოგადად იზრდება. მიუხედავად ამისა, განსახილველი მომსახურებები ევროკომისიის მხრიდან, ცალსახად ერთ საერთო ბაზრად მიჩნეული არ არის.

**მომსახურების მახასიათებლები** - სააგენტო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი მომსახურებების მახასიათებლები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კერძოდ, არსებობს რამდენიმე პრინციპული განსხვავება: 1. **გამოძახების მეთოდი** - ქუჩის ტაქსით მომსახურების შემთხვევაში მგზავრმა ან ხელის აწევის გზით უნდა გააჩეროს მანქანა ან დაიკავოს რიგი ტაქსების სადგურთან. მეორე შემთხვევაში ტაქსის გამოძახება შესაძლებელია სმარტფონის აპლიკაციაში ხელის ერთი დაჭერით („წინასწარი დაჯავშნა“ პრაქტიკულად მყისიერია). 2. **ხელმისაწვდომობა** - ტაქსის ქუჩაში გამოძახება დამოკიდებულია შემთხვევაზე, მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც ტაქსები მოძრაობენ ან სადგურზე დგანან. მეორე შემთხვევაში, ტაქსი ჩანს აპლიკაციაში, მოსვლის სავარაუდო დროით და მისი გამოძახება შესაძლებელია თითქმის ნებისმიერი ადგილიდან მომსახურების ზონაში. 3. **ფასის განსაზღვრა** - ქუჩის ტაქსით სარგებლობის შემთხვევაში ფასის ოდენობა დამოკიდებულია მძღოლთან შეთანხმებაზე, ხოლო აპლიკაციის მეშვეობით ტაქსის გამოძახებისას მგზავრობის ფასი წინასწარ დადგენილია პლატფორმის მიერ გარკვეული ალგორითმის მეშვეობით. 4. **ფასის გადახდა** - პირველ შემთხვევაში, თანხის გადახდა შესაძლებელია როგორც წესი ნაღდი ფულით პირდაპირ მძღოლთან, ხოლო მეორე შემთხვევაში ჩვეულებრივ ყოველთვის ციფრული სახით (აპლიკაციაში ჩართული ბარათით). 5. **ლოდინის დრო** - ქუჩაში გაჩერებული ტაქსის შემთხვევაში, ლოდინის დრო არანაირი ფორმით არ არის განსაზღვრული, ხოლო აპლიკაციით გამოძახებული ტაქსის შემთხვევაში ონლაინ პლატფორმაზე მითითებულია შესაბამისი მოცდის დრო, აგრეთვე თანხის ის ოდენობა, რომელიც ამავე დროის განმავლობაში ჩამოეჭრება მგზავრს საბანკო ანგარიშიდან. 6. **ინფორმაცია მძღოლის/მგზავრის შესახებ** - აღნიშნული ინფორმაცია ქუჩაში გაჩერებული ტაქსის შემთხვევაში ანონიმურია მგზავრობის დაწყებამდე, შესაბამისად, მძღოლის/მგზავრის შესახებ წინასწარი ინფორმაცია არ არსებობს. აღნიშნულისგან განსხვავებით, აპლიკაცია აჩვენებს მძღოლის პროფილს, მანქანის მოდელს, სანომრე ნიშნებსა და რეიტინგს წინასწარ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მომსახურების მახასიათებლებზე დაყრდნობით, ქუჩაში გაჩერებული ტაქსით მგზავრობის სერვისისა და მობილური

[3] Commission Notice on well-functioning and sustainable local passenger transport-on-demand (taxis and PHV) (2022/C 62/01), გვ. 2.

აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის სერვისის მიწოდების მომსახურებები სხვადასხვა პროდუქციულ საზღვრებს განეკუთვნებიან.

**შედარებითი ფასების დონე** - აღნიშნულ კრიტერიუმზე დაყრდნობით ხაზგასასმელია შემდეგი გარემოების არსებობა: მობილური აპლიკაციის მეშვეობით ტაქსის გამოძახებისას, როგორც წესი, წინასწარ განსაზღვრულია გადაყვანის მომსახურების ხელშეკრულების ისეთი არსებითი პირობა, როგორიცაა მგზავრობის მინიმალური ფასის ოდენობა მგზავრობის თითოეული კლასის მიხედვით, რომელზე ქვემოთაც აპლიკაცია შეკვეთას არ მიიღებს. აღნიშნულის საპირისპიროდ, ქუჩაში გაჩერებული ტაქსით სარგებლობის შემთხვევაში, მგზავრობის საფასური, არ არის წინასწარ დადგენილი (მათ შორის, არც მინიმალურ დონეზე) და შესაბამისად ის განისაზღვრება მგზავრთან თავისუფალი მოლაპარაკების შედეგად. აღნიშნული გარემოება, დამატებით მიუთითებს განსახილველი მომსახურებების სხვადასხვა პროდუქციული საზღვრებისადმი მიკუთვნების სასარგებლოდ.

**გამოყენების მიზნობრიობა** - სააგენტო ადასტურებს, რომ ურთიერთშესადარი მომსახურებების გამოყენების მიზნობრიობა იდენტურია: ფიზიკური გადაადგილება დანიშნულების საწყისი ადგილიდან საბოლოო ადგილამდე. მიუხედავად ამისა, მომსახურების მახასიათებლებისა და შედარებითი ფასების დონის მიხედვით, განსახილველი მომსახურებები სხვადასხვა პროდუქციულ საზღვრებს განეკუთვნებიან.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მონიტორინგის ფარგლებში, მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის სერვისის მიწოდების ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, სააგენტო ამავე ბაზარს განიხილავს ქუჩაში ტაქსით სარგებლობის მომსახურებისგან დამოუკიდებლად.

## 1.2. გეოგრაფიული საზღვრები

ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

მოცემულ შემთხვევაში, აშკარაა, რომ კომპანიების მიერ შეთავაზებული მომსახურების გეოგრაფიული საზღვრები ხშირ შემთხვევაში კვეთს ერთმანეთს და სააგენტომ მსგავსი ტერიტორიული ერთეულები ცალკეულ შესაბამის ბაზრებად განიხილა. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის ფარგლებში ისეთი ტერიტორიული ერთეულების არსებობაც გამოიკვეთა, რომლის ფარგლებშიც დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში შესაძლებელია მხოლოდ ერთ კომპანიას განეხორციელებინა ოპერირება. ასეთ შემთხვევაშიც განსახილველი ტერიტორიული ერთეული სააგენტოს მიერ ასევე ცალკე შესაბამის ბაზრად იქნა მიჩნეული. აღნიშნულიდან გამომდინარე ყოველი ცალკეული შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრის დამდგენ ერთეულად ლოკალური დონე იქნა მიჩნეული.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მონიტორინგის ფარგლებში უფრო ვრცელ მასშტაბზე კონკურენტული გარემოს გამოკვლევისა და შეფასების მიზნით, სააგენტომ ეროვნული დონის მიმართულებითაც აწარმოა დაკვირვება.

## 1.3. დროითი ჩარჩო

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების" მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

განსახილველი მომსახურების მოთხოვნა/მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით. დროით ჩარჩოსთან მიმართებით სააგენტო განმარტავს, რომ შესაბამისი ბაზრები ფუნქციონირებენ უწყვეტად, წელიწადის ნებისმიერ დროს, მოთხოვნის შესაბამისად, ამიტომ არც ერთ განსახილველ შესაბამის ბაზარს სპეციფიკური დროითი ჩარჩო არ გააჩნია.

## 2. შესაბამის ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასება

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე" სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კონკურენტული გარემოს შეფასებისას სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

ა) შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები;

ბ) შესაბამისი ბაზრის მოცულობა და ეკონომიკურ აგენტებზე წილობრივი გადანაწილება;

გ) შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონე;

დ) შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები;

ე) ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ძალა.

სააგენტოს მიერ მონიტორინგის პროცესში მიღებულ და დამუშავებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაბამისი ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების იდენტიფიცირების მიმართულებით გათვალისწინებულ იქნა რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობა. კერძოდ: 1. დროის პერიოდი. 2. მგზავრობის კლასები. 3. გეოგრაფიული არეალი. 4. კომპანია ტექნოკომის (ს/ნ 404960173)[4] (სერვის მაქსიმის ოპერატორი) შემთხვევაში, ამ უკანასკნელის სერვერის მუშაობასთან დაკავშირებული შეზღუდვა.

1. **დროის პერიოდი** - სააგენტომ მონიტორინგის პროცესში დროის ათვლის საწყის მომენტად 2023 წლის 1 იანვარი განსაზღვრა. თუმცა კომპანია შპს ,,რაიდტექ ჯორჯიამ" სააგენტოში წარმოდგენილი წერილით (თარიღი: 23.10.2024; რეგ: N 01/5373) დააკონკრეტა,

[4] შპს „ტექნოკომის" განცხადებით, მათი კომპანია არის სერვის „მაქსიმის" წარმომადგენელი საქართველოში.

რომ 2024 წლის იანვრამდე Yandex Go-ს მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებდა ჰოლანდიური კომპანია Ridetech International B.V. და შესაბამისად კომპანიის მიერ მოწოდებულ იქნა ის ინფორმაცია, რომელიც ამ უკანასკნელისთვის იყო ხელმისაწვდომი. აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით სააგენტომ დაავიწროვა დროის ის პერიოდი, რომელზეც მან დაკვირვება მოახდინა შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების კუთხით.

2. **მგზავრობის კლასები** - იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებლებისთვის ყველაზე ხელმისაწვდომ მგზავრობის კლასს ეკონომ კლასი წარმოადგენს, მონიტორინგის ფარგლებში სააგენტოსთვის უპირატესი დაკვირვების საგანს სწორედ აღნიშნული კლასი განეკუთვნებოდა, თუმცა მან დაკვირვება მგზავრობის ყველა კლასის მიმართულებითაც აწარმოა, მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ თუ არა მგზავრობის სხვადასხვა კლასები ერთ საერთო ბაზარს.

3. **გეოგრაფიული არეალი** - როგორც შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებზე მსჯელობისას აღინიშნა, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ცალკეული ქალაქი, შესაბამისი ბაზრის დამოუკიდებლად არსებულ გეოგრაფიულ საზღვარს ქმნის. მიუხედავად აღნიშნულისა, სააგენტომ დაკვირვება აწარმოა არა მხოლოდ იმ ტერიტორიული ერთეულების დონეზე, რომლის ფარგლებშიც კომპანიების მიერ შეთავაზებული მომსახურების გეოგრაფიული საზღვრები ერთმანეთს კვეთდნენ, არამედ მთელი საქართველოს ტერიტორიის დონეზეც.

4. **კომპანია ტექნოკომის (სერვის მაქსიმის ოპერატორის) სერვერთან დაკავშირებული შეზღუდვა** - კომპანია ტექნოკომის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი წერილის თანახმად, ეკონომიკური აგენტი მოკლებულია შესაძლებლობას დასრულებული შეკვეთების შესახებ სრული ინფორმაცია წარმოადგინოს იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის სერვერი იმახსოვრებს მხოლოდ ბოლო სამი თვის განმავლობაში შენახულ მონაცემებს. აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით სააგენტოს მიერ შესაბამისი ბაზრის ეკონომიკური აგენტები იდენტიფიცირებულნი არიან როგორც კომპანიის სერვერის შეზღუდვის გათვალისწინებით სამთვიან პერიოდზე, აგრეთვე ერთწლიან პერიოდზეც. აღნიშნული მიდგომით უზრუნველყოფილია დასაკვირვებელი პერიოდის მიხედვით ერთგვაროვანი დროის ერთეულის შერჩევა (პრინციპით - თვე-თვე, წელი-წელი).

## 2.1. შესაბამის ბაზრებზე მოქმედი სუბიექტები

მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ 2016 წლიდან (მას შემდგომ, რაც შპს „რაიდტექ ჯორჯია“ შემოვიდა საქართველოს ბაზარზე) 2024 წლამდე შესაბამის ბაზრებზე სუბიექტების ოდენობა დინამიურია. ბაზარზე ამ პერიოდის განმავლობაში ოპერირებდა/ოპერირებს არაერთი მიმწოდებელი კომპანია: შპს ,,რაიდტექ ჯორჯია“ (ს/ნ 402218890), შპს ,,სმარტლი“ (ს/ნ 402026491), შპს ,,ტექნოკომი“ (ს/ნ 404960173), შპს ,,ვენიო“ (ს/ნ 404638193), შპს ,,სპორტალ იო“ (ს/ნ 405610496). შესაბამისად, მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის სერვისის მიწოდების ბაზარზე ბოლო 8 წლის განმავლობაში ოპერირებს 6 ელექტრონული პლატფორმა: Yandex Go (ოპერატორი - რაიდტექ ჯორჯია), Bolt (ოპერატორი - სმარტლი), Maxim (ოპერატორი - ტექნოკომი), Uber (ოპერატორი რაიდტექ ჯორჯია)[5], Rashi (ოპერატორი - სპორტალ იო), Venio (ოპერატორი ვენიო).

## 2.2. შესაბამისი ბაზრების მოცულობა და ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილების გადანაწილება

მონიტორინგის ფარგლებში იდენტიფიცირებული ფაქტორების ერთობლიობის გათვალისწინებით, ეკონომიკური აგენტების რაოდენობისა და მათი წილების გადანაწილების კუთხით, შემდეგი საბაზრო მოცემულობა დადგინდა:

- *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ყველა კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. თბილისი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 3 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი, იანდექსი, მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - 15 620 791 ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 5 537 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №1).

[5] **შენიშვნა:** ქ. თბილისში ტაქსის გამოძახების მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი პლატფორმის Uber-ის აპლიკაცია 2024 წლიდან ამოქმედდა. Uber-ის სერვისის მიმწოდებელი ოპერატორი კომპანია შპს „რაიდტექ ჯორჯიაა“.

*დიაგრამა N1*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. იანდექსი - [redacted]%
2. ბოლტი - [redacted]%
3. მაქსიმი - [redacted]%

➢ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ყველა კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. ბათუმი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 3 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი, იანდექსი, მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - 2 790 268 ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 3 985 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №2).

*დიაგრამა N2*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. იანდექსი - [redacted]%
2. ბოლტი - [redacted]%
3. მაქსიმი - [redacted]%

➢ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ყველა კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. ქუთაისი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 3 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი, იანდექსი, მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - 740 834 ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 3 978 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №3).

*დიაგრამა N3*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. მაქსიმი - [redacted]%
2. იანდექსი - [redacted]%
3. ბოლტი - [redacted]%

- *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ყველა კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. რუსთავი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 3 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი, იანდექსი, მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - 273 611 ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 4 383 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №4).

*დიაგრამა N4*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. იანდექსი - [redacted]%
2. მაქსიმი - [redacted]%
3. ბოლტი - [redacted]%

➢ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ყველა კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. ზუგდიდი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 3 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი, იანდექსი, მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - 207 986 ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 6 188 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №5).

*დიაგრამა N5*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. მაქსიმი - [redacted]%
2. ბოლტი - [redacted]%
3. იანდექსი - [redacted]%

➢ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ყველა კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. გორი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 3 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი, იანდექსი, მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - 281 511 ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 9 739 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №6).

*დიაგრამა N6*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. მაქსიმი - [redacted]%
2. ბოლტი - [redacted]%
3. იანდექსი - [redacted]%

- *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ყველა კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. თელავი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 3 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი, იანდექსი, მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - 128 ერთეულს. სააგენტოს პოზიციით, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია ბოლტმა შეძლო მხოლოდ კახეთის დონეზე მონაცემების მოწოდება (შემდგომი ჩაშლის გარეშე), ბაზრის კონცენტრაციის დონის დასადგენად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) გამოთვლა არ არის მიზანშეწონილი (იხ. დიაგრამა №7).

*დიაგრამა N7*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. ბოლტი - [redacted]% (აღნიშნულმა ეკონომიკურმა აგენტმა შეძლო მხოლოდ კახეთის დონეზე მონაცემების მოწოდება, შემდგომი ჩაშლის გარეშე)
2. მაქსიმი - [redacted]%
3. იანდექსი - [redacted]%

➢ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ყველა კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. ფოთი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 2 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი და მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - [redacted] ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა [redacted] ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №8).

*დიაგრამა N8*

[redacted]

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. მაქსიმი - [redacted]%
2. ბოლტი - [redacted]%

➤ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ყველა კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. ზესტაფონი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 2 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი და მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - [redacted] ერთეულს [redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. მაქსიმი - [redacted]%
2. ბოლტი - [redacted]%

➤ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ყველა კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. ქობულეთი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 2 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი და მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - [redacted] ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა [redacted] ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №9).

*დიაგრამა N9*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. მაქსიმი - [redacted]%
2. ბოლტი - [redacted]%

➢ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ყველა კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. სამტრედია

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 2 ეკონომიკური აგენტი - იანდექსი და მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - [redacted] ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა [redacted] ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №10).

*დიაგრამა N10*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. მაქსიმი - [redacted]%
2. იანდექსი - [redacted]%

➢ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ყველა კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. ხაშური

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 2 ეკონომიკური აგენტი - იანდექსი და მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - [redacted] ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა [redacted] ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის

მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №11).

*დიაგრამა N11*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. მაქსიმი - [redacted]%
2. იანდექსი - [redacted]%

➢ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ყველა კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. ახალქალაქი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 2 ეკონომიკური აგენტი - იანდექსი და მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - [redacted] ერთეულს. ინდივიდუალურ დონეზე, კომპანია იანდექსის შემთხვევაში დასრულებული შეკვეთების რაოდენობა შეადგენდა - [redacted] ერთეულს, ხოლო კომპანია მაქსიმის შემთხვევაში - [redacted] ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა [redacted] ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება.

ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. მაქსიმი - [redacted]%
2. იანდექსი - [redacted]%

- *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ყველა კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. ოზურგეთი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 2 ეკონომიკური აგენტი - იანდექსი და მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - [redacted] ერთეულს. ინდივიდუალურ დონეზე, კომპანია იანდექსის შემთხვევაში დასრულებული შეკვეთების რაოდენობა შეადგენდა - [redacted] ერთეულს, ხოლო კომპანია მაქსიმის შემთხვევაში - [redacted] ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა [redacted] ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება.

ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. მაქსიმი - [redacted]%
2. იანდექსი - [redacted]%

- *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ეკონომ კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. თბილისი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 3 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი, იანდექსი, მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - 8 979 424 ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 6 767 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №12).

*დიაგრამა N12*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. იანდექსი - [redacted]%
2. ბოლტი - [redacted]%
3. მაქსიმი - [redacted]%

➢ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ეკონომ კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. ბათუმი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 3 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი, იანდექსი, მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - 1 548 725 ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 3 566 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №13).

*დიაგრამა N13*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. იანდექსი - [redacted]%
2. ბოლტი - [redacted]%
3. მაქსიმი - [redacted]%

➢ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ეკონომ კლასი, მაქსიმი ჩათვლით)* - ქ. ქუთაისი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 3 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი, იანდექსი და მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - 551 184 ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-

ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 5 899 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №14).

*დიაგრამა N14*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. მაქსიმი - [redacted]%
2. იანდექსი - [redacted]%
3. ბოლტი - [redacted]%

➢ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ეკონომ კლასი, მაქსიმის ჩათვლით) - ქ. რუსთავი*

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 3 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი, იანდექსი, მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - 236 293 ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 4 699 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №15).

*დიაგრამა N15*

[redacted]

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. იანდექსი - [redacted]%
2. მაქსიმი - [redacted]%
3. ბოლტი - [redacted]%

➢ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ეკონომ კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. ზუგდიდი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 3 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი, იანდექსი, მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - 177 057 ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 8 091 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №16).

*დიაგრამა N16*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. მაქსიმი - [redacted]%
2. იანდექსი - [redacted]%
3. ბოლტი - [redacted]%

➢ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ეკონომ კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. გორი

მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე ოპერირებდა 3 ეკონომიკური აგენტი - ბოლტი, იანდექსი, მაქსიმი. დასრულებული შეკვეთების ჯამური რაოდენობა შეადგენდა - 276 004 ერთეულს. ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 9 980 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე მაღალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №17).

*დიაგრამა N17*

[redacted]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილები გადანაწილებულია შემდეგი სახის პროცენტულობით:

1. მაქსიმი - [redacted]%
2. იანდექსი - [redacted]%
3. ბოლტი - [redacted]%

➢ *რეგიონები 01.01.2025 - 31.03.2025 (ეკონომ კლასი, მაქსიმის ჩათვლით)* - ქ. ქობულეთი

